ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1226479

ნომერი: AR1213026

თარიღი : 16.04.2014

გაცემის თარიღი : 22.04.2014

გაცნობის თარიღი : 22.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

სამღებროს ქუჩა 6 მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ტუსკაძე პ/ნ 53001013096
- თბილისი მ.იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხი N 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1213026 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ #1143653 (16.04.2014) გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამანქანო გზის შეზღუდვა დაუშვებელია და თუ, იქნებოდა წარმოდგენილი ესკიზი მაგიდა–სკამების განთავსებით მხოლოდ ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის გათვალისწინებით, სამსახური საკითხს განიხილავდა თავიდან. გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი სამსახურმა მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება;

AR1205667 განაცხადის პასუხად #1178984 (20.03.2014) გადაწყვეტილებით გეცნობათ, იმისათვის, რომ სამსახურმა თავიდან იმსჯელოს ღია სეზონური კაფის მოწყობის ნებართვის საკითზე, უნდა წარმოადგინოთ ზემოთაღნიშნული ოქმის რეკომენდაციებით დამუშავებული ესკიზური პროექტი (ნახაზი) და ფოტომონტაჟი, სადაც მაგიდები და სკამები განთავსებული იქნება მხოლოდ ქუჩის მხრიდან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ვინაიდან, წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხის განხილვა საჭიროებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებას. გამომდინარე აქედან, ახალი განაცხადის საფუძველზე ესკიზი გადაგზავნილი იქნება სამინისტროში განსახილველად. რომლის რეკომენდაციების შესაბამისად სამსახურიი მიღებს გადაწყვეტილებას;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.